ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2567 ოთხშაბათი, 28 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2567

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ... ქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა შუადღის 11—1-ლ საათამდე.

პოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

გადაცვალებულის პოდპოლკოვნიკ პიმენ გიორგის-ძის გაბაშვილის მეუღლე ნინო ავთანდილის ასული, შვილები:—მარიამ, ალექსანდრა, თამარა, ეკატერინე პიმენის ასულნი და კოლია პიმენის-ძე გაბაშვილები ულრმეს მადლობას უძღვნიან ყველა იმათ, ვინც დეპეშით, წერილით თუ პირადათ დასწრებით მონაწილეობა მიიღეს მათ მწუხარებაში. (1—261—1)

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობა ამით აცხადებს, რომ სეკტემბრის პირველიდან საჭიროა

მასწავლებელი,

„საზოგადოების“ სკოლისადვის ს. ყალამშიაში (ბორჩალ. მაზ.). მასწავლებელს ექნება ჯამაგირი თვეში 30 მან. ბინა და შეშა. მსურველებმა უნდა წარმოადგინონ თხოვნები და საჭირო დოკუმენტები „საზოგადოების“ გამგეობაში (Тифлисъ. Общество Грамотности). (3—უ—1)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

ბ. ტ. ჟულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.

მ. ა. მეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

მძ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საზებით, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საზებით და ბავშ. (შემაწუხება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათობით 11—12 საათამდე.

ნ. ტუღუშიდაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., თუმცა ... მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б. (წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ვორონცოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაევი
იღებს შინაგანის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, დილით 1—3 და საღამოთი 5—8 საათამდე.
... მიხეილის ქუჩისა № 47. (10—253—0)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 ივლისი

პარიზი. გარეშე საქმეთა სამინისტროს არ მიუღია ჯერ ცნობა ნიუ-ჩუანში საფრანგეთის საკონსულოს აგენტის დატუსაღების [illegible] დაინიშნა [illegible] რამდენისამე დღის წინად, ვიდრე იაპონელები ნიუ-ჩუანს დაიჭერდნენ. იაპონიამ პროტესტი განაცხადა იმის უდროო დროს დანიშვნის გამო. საფრანგეთისა და იაპონიის საელჩოების წარმომადგენელთ პეკინში თათბირი ჰქონდათ ამის გამო და იაპონიის რწმუნებულმა აღიარა, საფრანგეთს სრული უფლება აქვს დანიშნოს აგენტი ნიუ-ჩუანშიო. ამის შესახებ რწმუნებულმა კიდეც მისწერა თავის მთავრობას ტოკიოში. ამბობენ, აგენტის დატუსაღებაც სწორედ ამ მოლაპარაკებისა და მიწერ-მოწერის შემდეგ მოხდაო.

ლისსაბონი. მოვიდა რუსეთის კრეისერი „ურალი“.

ჩიფუ. („რეიტ. საგენტო.“). 22 ივლისს პორტ-არტურიდან წამოსული რუსები ამბობენ, რომ იაპონიის ჯარი, მგლის გორაზე სიმაგრის აღების შემდეგ, სანგრების კეთებას შეუდგა, პორტ-არტურის ციხიდან ერთი ვერსის მანძილზე.—ირწმუნებიან, რომ იაპონიის კრეისერი ნაღმს დაეტაკა და ჩაძირა ჯვრის გორის ბატარეის პირ-და-პირ.—იაპონელებმა დაიჭირეს ნავთ-სადგური ლუიზა და ჯარი გადაჰყავთ ნაპირზე. როგორც სჩანს, განზრახვა აქვთ პორტ-არტურზე დასავლეთიდანაც მიიტანონ იერიში.—15 ივლისიდან თვალსაჩინო ბრძოლა აღარ ყოფილა. რუსეთის არტილერია ხელს უშლის იაპონელებს სანგრების კეთების საქმეში.

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ-შტაბს, 25 ივლისს: „ბრძოლის ველზე, მანჯურიის არმიის რაიონში, 25 ივლისს შუადღემდე არავითარი ცვლილება არ მომხდარა“.

პარიზი. გაზ. „მატენ“-ი ამოწმებს ცნობას, რომ იაპონელებმა დააპატიმრეს საფრანგეთის საკონსულო აგენტი ნიუ ჩუანში. პატიმარს ნება არ მისცეს მიიღოს მისდამი მეგობრულად განწყობილი შეერთებულ შტატების აგენტი.

ლიაოიანი, 26 ივლისი (საკუთ. კორ.). აი, დაწვრილებითი ამბები ბოლო დროს მომხდარ რუსის ჯარის უკან დაწევის შესახებ: გენერალ ზასულიჩის კორპუსმა დასტოვა კანგულინის სიმაღლეებზე მოწინავე რაზმები და უმთავრეს პოზიციებისკენ დაიწია. ჯარმა საღამომდის გაუძლეს მტერს. ვორონეჟის, ზარაისკისა და მორშანსკის პოლკებმა რამდენჯერმე იერიში მიიტანეს და უკუ აგდეს იაპონელები. მე-20 პოლკის ორი როტა დიდად დაზარალდა; ამ როტებმა ხიშტებით უკუაგდეს სიმაღლიდან იაპონელთა მთელი ბატალიონი და დაიჭირეს ეს სიმაღლე. საღამოთი ამბავი მოვიდა, გენერალ კაშტალინსკი, რომლის წინააღმდეგ იაპონელთა ორმა დივიზიამ გაილაშქრა, იძულებული გახდა უკან დაწეულიყოო; ამნაირად ზასულიჩის ჯარის მარცხენა ფლანგისკენ თავისუფალი გზა გაეხსნათ იაპონელებს. რადგან მტრის მიერ გარშემოვლას შიშობდნენ, რუსების მთელ ფრონტზე ბრძანება გასცეს, უკან დაწეულიყვნენ. იაპონელებს არა სჯეროდათ, რომ ჩვენ უკან დავიწიეთ, მთელ დღეს ესროდნენ ცარიელ სიმაგრეებს და მხოლოდ საღამო ხანს გაბედეს ამ სიმაგრეების აღება იერიშით. ამ დროს ჩვენი ჯარი უკვე ხაიჩენის ახლოს იყო. ამბობენ, დაღესტნელებმა სიხეიანთან გიჟური იერიში მიიტანეს ჩვენის ერთის ბატალიონის დასახსნელად, რომელსაც თითქმის გარს შემოეხვივნენ იაპონელებიო.

27 ივლისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, მისს უდიდებულესობის სახელზე გამოგზავნილი მუკდენიდან 25 ივლისს: „მუკდენი, 25 ივლისი. დღეს პორტ-არტურიდან მივიღე დეპეშა ესკადრის უფროსისა, რომელიც იუწყება: 13 ივლისს მტრის პოზიციების დასაზიანებლად ზღვაში გავიდნენ კრეისრები „ბაიან“-ი, „ასკოლდ“-ი, „პალადა“ და „ნოვიკ“-ი და საკანონიერო ნავები. ამ გემებზე იერიში მიიტანეს იაპონელთა გემებმა „ჩინიენ“-მა, „იცუკუშიმა“-მ, „მატცუშიმა“-მ, „ჩიოდა“-მ, მეორე ხარისხის ორმა კრისერმა და ოცდაათმა ნაღმიანმა გემმა. კრეისერ „ბაიანი“-დან გაროლილი რვა-დიუიმიანი ყუმბარა „იცუკუშმა“-ს უკანა ნაწილის თავზე აფეთქდა და ხსნებული გემი დააზიანა. ამის შემდეგ მტრის გემები უკან მიტრიალდნენ. კრეისერი „ჩიოდა“ დაზიანდა ჩვენის ნაღმისაგან და ტალიევანისაკენ გაემართა. ბატარეის № 22-ს ყუმბარამ დააზიანა აგრეთვე იაპონელთა საკანონირო ნავი, რომელიც ბუქსირით წაიყვანეს. რადგან იაპონელებმა ხმელეთით ყველ მხრიდან მიიტანეს იერიში პორტ-არტურს, 14 ივლისს გენერალის სტესელის თხოვნით, გაგზავნილ იქმნენ ზღვიდან საშველად „ბაიან“-ი (პირველ რანგის კაპიტნის რეიცენშტეინის უფროსობით), „რეტვიზან“-ი, „პალადა“, „ასკოლდ“-ი და საკანონირო ნავები „ოტვაჟნ“-ი (ამაზე კონტრ-ადმირალის ლოშჩინსკის დროშა იყო აფრიალებული), „გილიაკ“ და „ბობრ“-ი, კრეისერი „ნოვიკ“-ი და თორმეტი ნაღმიანი გემი. ეს გემები ნაღმის გამანადგურებლებთან ერთად ლუნვანტანში მივიდნენ და იქიდან ნაშუადღევის სამ საათამდე ყუმბარებს ესროდნენ იაპონელთა პოზიციებს. დაბრუნების დროს რეიდზე მიწის ამომღებ გემის ქვეშ ნაღმი აფეთქდა. კონტრ-ადმირალ ს ვიტგეფტის გამოანგარიშებით, 14 ივლისს პორტ-არტურთან იდგა იაპონიის ფლოტი, რომელიც შესდგებოდა ხუთის ჯავშნიან გემისა, ოთხის ჯავშნიან კრეისერისა, ათის სხვა კრეისერისა და 48 ნაღმიან გემისაგან“.

მუკდენი. (საგ. საკ. კორესპ.). 13, 14 და 15 ივლისს პორტ-არტურთან, ციხიდან ათი ვერსის მანძილზე, მოხდა ბრძოლა. ჩვენ ციხის ზარბაზნებს სროლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. თუ მხედველობაში მივიღებთ ამ უკანასკნელ გარემოებას და აგრეთვე იაპონელთა ზარალს ამ ბოლო დროს, ადვილი მისახვედრია, რა დიდი უნდა იყოს იაპონიის ჯარის მსხვერპლი იერიშის დროს.

ტოკიო. („რეიტ. საგ.“). რუსებმა ნიუ-ჩუანს ჩრდილოეთით ააფეთქეს საკანონირო ნავი „სივუჩ“-ი, რათა იაპონელებს არ ჩავარდნოდა ხელში. გემთან ერთად განადგურებულ იქმნა ზარბაზნებიც. იაპონელნი გაკვირვებული არიან გენერალ კუროპატკინის წარმატებით: კუროპატკინმა შესძლო რუსის ჯარის მოგროვება ლიაოდუნის ნახევარ კუნძულზე, დიდი ბრძოლა უთუოდ ლიაოიანთან მოხდება. ოკუსა და ნოძუს ჯარი სამხრეთიდან აწვება რუსის ჯარს. გენერალ კუროკის, რომელიც რუსის ჯართან ახლოა, ყოველთვის შეუძლია, როცა კი საჭიროება მოითხოვს, ბრძოლაში ჩაერიოს. ინკოუს დაჭერამ ძალიან გააადვილა იაპონელებს სურსათის და სხვა მასალის ზიდვა. ამ ქალაქის აღების წყალობით იაპონიის ორსავე არმიას შეეძლება მიეცა თავისუფლად იმოძრაოს, რაც წინად ვერ ახერხებდა. იაპონელებმა შეუდგნენ რკინის გზის შეკეთებას. ეს გზა რუსებმა უკან დახევის დროს ცოტათი დააზიანეს.

* * *

რედაქციისაგან.

ვისაც „ცნობის ფურცლის“ და „მოამბის“ წლიური ფასი სრულათ არა აქვს გადახდილი რედაქცია სთხოვს დააჩქაროს შემოტანა რათა გამოცემათა გზავნა არ შეჩერდეს.

„ცნობის ფურცელი“ 1-ლ აგვისტოდან წლის დამლევამდის ღირს 3 მან.

ადრესის გამოსაცვლელად—ვინც ერთი ქალაქიდან მეორეში გადადის, უნდა გადაიხადოს 40 კ. ვინც ტფილისიდან გადის—1 მან.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. მთელი ქვეყნიერობა ლიაოიანისაკენ იყურება. ყველა ჰკითხულობს, მოხდება იქ ბრძოლა, თუ რუსები უკან დაიხევენ და ლიაოიანსაც ისე მიატოვებენ, როგორც გაიჩოუ, დაშიჩაო და ხაიჩენი მიატოვესო. ამის თაობაზე დიდი უთანხმოება მოსდით სამხედრო მიმომხილველებს. ზოგი ამტკიცებს, გენ. კუროპატკინს ჯერ ცოტა ჯარი ჰყავსო და ამიტომ დიდ ბრძოლას მოერიდებაო, ზოგი-კი ამტკიცებს, ლიაოიანთან უსათუოდ დიდი ბრძოლა მოხდება, გენ. კუროპატკინი უბრძოლველად არ დაუთმობს იაპონელებს ამ დიდად მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილსაო, სხვა არა იყოს-რა, გენ. კუროპატკინი ველარ მოასწრობს ლიაოიანიდან წასვლასაო, ინგლისურ გაზ. „მორნინგ პოსტ“-ის სამხედრო თანამშრომელი ჯერ მაისის დამდეგსა სწერდა, გენ. კუროპატკინი ლიაოიანიდან უკან დახევას ვერ მოასწრობსო; ვერც ჯარის წაყვანას მოასწრობს, ვერც აუარებელ სურსათის წაღებასაო; იაპონელები ყველა მხრიდან მიადგებიან ლიაოიანს, რგოლივით შემოერტყმიან რუსის ჯარს და ხელიდან არ გაუშვებენო. „ტაიმს“-ის და სხვა ინგლისურ გაზეთების სამხედრო თანამშრომლებიც ამავე აზრისანი არიან. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ს. კ. ჰფიქრობს, გენ. კუროპატკინი არ მოერიდება დიდ ბრძოლას და ლიაოიანს უბრძოლველად არ დაუთმობს იაპონელებსაო. ბ-ნი ს. კ. სწერს: გენ. კუროპატკინი სწერდა თავის დეპეშაში: „რუსის ჯარმა (აღმოსავლეთისა და გენ. გერშელმანის რაზმებმა) უკან დაიხიეს და უმთავრეს პოზიციებზე დადგნენო. იმედი მაქვს, ამ პოზიციებზე კარგად დაუხვდებიან მტერსაო“. აქედან სჩანს, რომ გენ. კუროპატკინი უბრძოლველად არ დასთმობს ლიაოიანს და გენ. კუროკის პირველ არმიას მდ. ტანხეს ნაპირას შეებრძოლება. მართლაც და მდ. ტანხეს იქით ლიაოიანის ფორტები იწყება; რუსის ჯარმა რომ მდ. ტანხეს ნაპირიდან დაიხიოს და ლიაოიანში გამაგრდეს, იაპონელები მაშინვე წრეს შეოავლებენ რუსის ჯარს. ლიაოიანს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რუსის ჯარისათვის. ლიაოიანი ლიაოხეს მდიდარ ველის ყელია და მანჯურიის ჯარის უმთავრესი ბაზაა: აქ დიდძალი სამხედრო და საკვები სურსათია დამზადებული; ამ აუარებელ სურსათს გენ. კუროპატკინი საჩქაროდ ვერც წაიღებინებს, ვერც დასტოვებს, რადგან ამდენ სურსათის დაკარგვა დიდ ბრძოლის წაგებას არ ჩამოუვარდება... იაპონელებმა რომ ლიაოიანი ჩაიგდონ ხელში, მაშინ მუკდენსაც ადვილად აიღებენ. თუმცა მუკდენს ახლო დიდი მდინარე ხუნხე ჩამოდის, მაგრამ მაინც მუკდენი დიდხანს ვერ გაუმაგრდება მტერსა, მით უმეტეს რომ მუკდენი ლიაოიანივით გამაგრებული როდია. ლიაოიანი ძლიერაა გამაგრებული, ამასთანა მაგარი პოზიცია რუსის ჯარს სხვა არა აქვს სამხრეთ მანჯურიაში. ამას გარდა, რუსის ჯარი ლიაოიანიდან მუკდენამდე ისე ადვილად ველარ დაიხევს, როგორც სამხრეთიდან ლიაოიანამდე იხევდა. ლიაოიანისაკენ რუსის ჯარი დაუბრკოლებლივ მიდიოდა; მუკდენის გზაზე-კი მდინარე ტაიძიხეში უნდა გავიდეს; მდინარეში გასვლა მტრის თვალ-წინ მეტად ძნელი საქმეა. ამიტომ ბ. ს. კ. ჰფიქრობს, რომ გენ. კუროპატკინი ლიაოიანს უბრძოლველად არ დაუთმობს იაპონელებსაო.

ფრანგულ გაზ. „მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება: რუსები ძლიერ ეცადნენ, იაპონელები ლიაოიანისაკენ არ გაეშვათ, მაგრამ ამ ცდამ სულ ამაოდ ჩაიარა. გენ. კუროკი ორის გზით მოდის ლიაოიანისაკენ; ერთი რაზმი დიდის გზით მოდის, მეორე ზემო (საიმაძი-ლიაოიანის) გზით. ლიაოიანთან აუცილებლად დიდი ბრძოლა მოხდება. („რ. ლ.“)

„ეკო დე პარი“ იუწყება: გრაფ კელერის ნაცვლად, აღმოსავლეთის რაზმის უფროსად მე-17 კორპუსის უფროსი გენერალი ბილდერლინგი დანიშნესო. სხვა გაზეთები ირწმუნებიან, ვითომ გენ. ბილდერლინგი შეუდგა კიდევაც თავის ახალი თანამდებობის ასრულებასაო. („რ. ლ.“).

გენ. კუროპატკინს მოუწერია: იანზელინთან, 18 ივლისს, იაპონელების არტილერიამ საშინელი სროლა ასტეხა; მარტო გრაფ კელერის რაზმმა შეინარჩუნა პოზიცია. გრაფი, ჩვეულებისამებრ, თავის ადიუტანტით ბრძოლის ველზე დადიოდა და სალდათებს ამხნევებდა. ნაშუადღევის 2 საათზე ერთის ბატარეის ახლო დადგა და მტერს ათვალიერებდა; ბატარეის ახლო უცებ მტრის ყუმბარა დაეცა და გასქდა. ყუმბარის ნატეხმა გრაფ კელერს ორივე ფეხი მოსწყვიტა და მკერდში დასჭრა; მეორე ნატეხმა თავი გაუტეხა. („რ. ლ.“).

„ეკო დე პარი“-ს პეტერბურგელ კორესპონდენტს შეუტყვია: პირველი არმიის კორპუსი ვლადივოსტოკის დასაცველად გაიგზავნება და უშიშარ გენ. ლინევიჩის არმიას მიემატებაო. გენ. კუროპატკინმა „უშიშარ გენერლის“ სახელი უწოდა ლინევიჩსაო.

„დეილი მეილ“-ი იუწყება: ჩინელები ამბობენ, იაპონელებმა რომ ხაიჩენი აიღეს, რუსებმა ლიაოიანისაკენ დაიხიეს გიაოდუნისა და ნულაიტუნის გზითაო. ცხადია, იაპონელებს შინლიძეს სამხრეთით რკინის გზაც ხელში ჩაუგდიათ. 19 ივლისს იაპონელების 2 ნაღმიანი გემი მდ. ლიაოთი ზევით ავიდა რუსის ჯარის დასაზვერად; მაგრამ რუსებმა ზარბაზანი დაუშინეს და გემები უკან დაბრუნდნენ; მეორე დღეს-კი კანონირი გემი „უჩი“ გაიყოლიეს და ისევ ზევით წავიდნენ. ნიუ-ჩუანში იაპონელებმა სურსათი მოიტანეს ნავებით. ეხლა სატრანსპორტო გემებს ელიან. კანონირი გემი „სივუჩ“-ი რუსებმა ააფეთქეს, მეზღვაურებმა ზარბაზნები თან წაიღეს და ლიაოიანს წავიდნენო. („რ. ს.“).

ფრანგულ გაზ. „ჟურნალ“-ს ატყობინებენ ნიუ-ჩუანიდან: იაპონელებმა ინკოუს კომენდანტად პოლკოვნიკი იოკურა დანიშნეს. გენ. ოკუმ დაშიჩაოში ამერიკის კონსულს წერილი მისწერა და მიულოცა, რომ ინკოუში წესიერება არავინ დაარღვია და ხალხის ქონება არავინ დაიტაცაო, იაპონიის ბანკმა ინკოუში მოქმედება დაიწყო. გაქცეული უცხოელები ისევ ბრუნდებიან. იაპონელებმა მდინარე ლიაოს შესართავში სამი ელექტრონის ნაღმი იპოვეს; ამბობენ, კიდევ 16 ამნაირი ნაღმი დარჩათ საპოვნელიო.

ინგლისელები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ინკოუს დაჭერას. ინგლისელების აზრით, როგორც სავაჭრო ქალაქი, ინკოუ გაცილებით სჯობია პორტ-არტურს. რუსეთი ინკოუში ყოველ კვირას 45 ათას მანეთს ბაჟს იღებდა უცხოეთის საქონელზე, ჩინელების ნავებსაც წელიწადში ნახევარ მილიონ მანეთს ბაჟს ახდევინებდა. ასე რომ ინკოუში დიდი შემოსავალი ჰქონდათ რუსებს. მართალია, ინკოუ ნეიტრალურ ქალაქად ითვლებოდა, მაგრამ რუსეთმა ეს ქალაქიც ისე დაისაკუთრა, როგორც ადესა, ანუ რიგაო. („ნ.“).

„მორნინგ პოსტ.“-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება გენ. კუროკის მთავარსადგომიდან: 18 ივლისს დილით იაპონელებმა ძლიერი იერიში მიიტანეს რუსის პოზიციებზე მოდულინის უღელტეხილის წინ; რუსებს ამ ადგილას სამი დივიზია ჯარი ჰყავდათ. იაპონელებმა რუსის პოზიციებს ზარბაზანი დაუშინეს. იაპონელების ქვეითა ჯარმა რუსის შუა ჯარი გაარღვია და თხავუანი და უკანა პოზიციები დაიჭირა; მერე თანდათან სხვა პოზიციებიც დაიჭირა მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე.

„რეიტერის სააგენტო“ იუწყება: სიმუჩენთან ბრძოლის დროს იაპონელებმა 6 რუსის ზარბაზანი აიღეს დავლადაო.

რუსეთის მთავარ-შტაბის ცნობებიდან სჩანს, რომ თხავუანთან ბრძოლის დროს 4 ივლისს რუსებს 30 აფიცერი და 1,185 სალდათი მოუკლეს და დაუჭრეს, სიხეიანთან 6 ივლისს ბრძოლის დროს 16 აფიცერი და 341 სალდათი მოუკლეს და დაუჭრეს. („რ. ვ.“).

„ჰავასის სააგენტო“ იუწყება: ინგლისიდან ორის გემით დაშლილი წყალ ქვეშ მავალი ნავები და პატარა ნაღმიანი გემები წაიღეს იაპონიაში ფლოტისათვის. რუსებმა ამ გემების დასაჭერად კრეისერები „დონი“ და „ურალი“ გაგზავნესო.

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ი იუწყება: იაპონია ჩილის რესპუბლიკისაგან 2 ჯავშნიან გემსა, 2 ჯავშნიან კრეისერსა, 6 კრეისერსა, 9 კონტრ-ნაღმიან გემსა და 19 ნაღმიან გემს ჰყიდულობსო.

იაპონური გაზ. „მანჩოოხო“ სწერს: როცა გენ. კუროკი სამხედრო მოქმედების ასპარეზზე წასასვლელად ემზადებოდა, საუკეთესო მჭრელი ხმალი აურჩიეს. გენერალმა სთქვა: ხის ხმალი მომეცით, ფოლადისა რად მინდა? თუ ომში საქმე ჩემ ხმალზე მიდგა, მაშინ ნურაფრის იმედი ნუ გექნებათო. („რ “).

ბრძოლა დაშიჩაოსთან 10 და 11 ივლისს. ინგლისურ გაზ. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტი ინკოუს მიდამოებში მაღალ კოშკზე მდგარა და დაშიჩაოსთან მომხდარი ბრძოლა უთვალიერებია. კორესპონდენტი სწერს: მეტად ნათელი ჰაერი იყო და, რასაკვირველია, დაწვრილებით ყველაფერს ვერ ვარჩევდი, მაგრამ ბრძოლის დიდებულ სურათს მაინც კარგად ვხედავდი. ბრძოლა გარიჟრაჟზე დაიწყო და მალე მეტად გამწვავდა. იაპონელები იერიშით წამოვიდნენ და დაშიჩაოს აღმოსავლეთით ერთის ადგილისაკენ გაემართნენ. ამ დროს რუსის სამმა ბატარეამ საშინელი სროლა ასტეხა; იაპონელები სხვა გზას დაადგნენ და ისევ მთისაკენ გაბრუნდნენ. შორიდან ისე მეჩვენა, თითქო იაპონელები დამარცხდნენო. მანამ იაპონელები ახალ პოზიციებს დაიჭერდნენ, საშინელი ზარბაზნის სროლა იყო; რუსის ბატარეები იაპონელების ერთს ბატარეიას ესროდნენ და, ალბად, ძლიერ დააზიანეს. ნაშუადღევის 2 საათზე იაპონელებმა ერთ მაღალ გორაზე დაიჭირეს პოზიცია, რუსის პოზიციების ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით. მალე გარშემო მაღალ გორებზეც იაპონელები გაჩნდნენ და თან-და-თან დაბლა ჩამოვიდნენ. რუსებმა 10 ზარბაზანი აიტანეს გრძელ სერზე და საშინელი სროლა ასტეხეს. რასაკვირველია, იაპონელებმაც უპასუხეს და ისეთი ხშირი ბოლი დადგა, რომ ვეღარა დავინახე-რა. ბოლოს, ნიავმა ბოლი გაფანტა და დავინახე, რომ იაპონელები მაღალ გორებზე იდგნენ, დაშიჩაოდან 15 კილომეტრის მანძილზე და მთელს არე-მარეს მაღლიდან დასცქეროდნენ. რუსის ზარბაზნები საშინლად ჰქუხდნენ და, ეტყობა, კარგადაც მოქმედებდნენ. ისეთი საშინელი ხმაურობა იდგა, რომ დედამიწა ინძრეოდა, ისე როგორც ქექა-ქუხილის დროს. მზემ რომ დასავლეთისაკენ გადიხარა, ერთ მაღალ გორაზე, სწორედ კერპრუსის არტილერისტების პირდაპირ, მოულოდნელად იაპონელების ბატარეა გაჩნდა და რუსის ბატარეიებს ზარბაზანი დაუშინა; ამავე დროს იაპონელების ქვეითა ჯარი ყველა მხრიდან საჩქაროდ ძირს ჩავიდა და რუსებზე იერიში მიიტანა. რუსის არტილერია კიდევ სრულ ორ-საათს ისროდა; მაგრამ იაპონელებმა მარჯვენა პოზიციები დაიჭირეს და ბოლოს რუსებმა უკან დაიხიეს. („რ. ს.“).

რუსებს ამ ბრძოლის დროს 1,800 კაცი დააკლდათ მოკლული და დაჭრილი. 400 კაციც იაპონელებმა დაატყვევეს. („რ. ლ.“).

ომში

მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

ჩვენს რედაქციას რამდენჯერმე დაეკითხნენ ომში გაგზავნილთა ზოგი ნათესავები, ამა და ამ კაცის გვარი ხომ არ შევხვედრიათ დაჭრილთა და მოკლულთა რიცხვშიო. ამ ნათესავთა და აგრეთვე საზოგადო ინტერესის დასაკმაყოფილებლად ჩვენ საჭიროდ ვცანით დღეიდან ვბეჭდოთ ომში დაჭრილთა, მოკლულთა და ტყვედ წაყვანილთა სია, რომელსაც მთავარ შტაბის განსაკუთრებული კომისია აცხადებს ხოლმე „რუსსკი ინვალიდ“-ში და რომელსაც თითქმის ყველა რუსული გაზეთი ჰბეჭდავს.

—

4, 5 და 6 ივლისს სიაოკანლინის უღელტეხილზე: აღმოსავლეთ ციმბირის მეცხრე პოლკისა მოკლულ იქმნა 13 და დაჭრილ 145 სალდათი; დაიჭრა კაპიტანი ვერბიცკი, პოდპორუჩიკები ბაზკოვი და ზარანოვი; ბრძოლის ველზე დარჩა ოთხი სალდათი; მე-10 პოლკისა: მოკლულ იქნა—2, დაჭრილ—32. ბრძოლის ველზე დარჩა 2; მე-11 პოლკისა: დაიჭრა 7 სალდათი; მე-12 პოლკისა: მოკლულ იქმნა 46, ბრძოლის ველზე დარჩა 6 სალდათი; დაიჭრა კაპ. მინალაპოვი და 192 სალდათი; მე-22 პოლკისა: მოკლულ იქმნა 9, დაჭრილ 47 სალდათი, ბრძოლის ველზე დარჩა—5; მე-24 პოლკისა: მოკლულ იქმნა 51, დაჭრილია 243, ბრძოლის ველზე დარჩა 22 სალდათი; მე-33 ქვეითა პოლკისა: მოკლულია შტ.-კაპ. ლუნდი და 5 სალდათი; დაჭრილია პორ. ორლოვი და 71 სალდათი; მე-34 პოლკისა: მოკლულია—კაპ. სელივანოვი, პორ. გომანი და 24 სალდათი, დაჭრილია—პოდპორ. სტოლიაროვი და 195 სალდათი, ბრძოლის ველზე დარჩა—კაპ. კლიმოვი და 63 სალდათი; მე-35 ქვეითა პოლკისა: მოკლულია—პორ. ინგლეზი, პოდპორ. შჩერბატოვი და 37 სალდათი, დაჭრილია—კაპ ბერეზანიცკი, შტ.-კაპ. კომაშკო, პორ. ნიკონოვი, პორ. სამიგინი (ჭრილობისაგან გარდაიცვალა) და 16 სალდათი; ბრძოლის ველზე დარჩა—პორ. კიტიცინი და 90 სალდათი; მე-36 ორლოვის პოლკისა: მოკლულია 21 სალდათი, ბრძოლის ველზე დარჩა 32, დაიჭრა—პორ. გოსტიმინსკი და 65 სალდათი, გაიკაწრა—პოდპოლკ. კაი და კაპიტ. ფედოროვი; აღმოსავლეთ ციმბირის სამთო ბატარეისა: დაიჭრა კაპ. სტეპანოვი და 3 სალდათი; გაიკაწრა—კაპ. კონონოვი; მოკლულია ერთი სალდათი; მე-9 საარტილერიო ბრიგადისა: დაიჭრა პოლკოვნიკი სმოლენსკი, პოდპოლ. ოსიპოვი, კაპ. კრიუკოვი, შტ.-კაპ. ტროცკი-სენიუტოვიჩი და 54 სალდათი, გაიკაწრა--პორ, კრამარევი და პორ. ჟივოტოვსკი, მოკლულია 6 სალდათი; სამთო ბატარეისა: დაიჭრა 5 კაცი; ყაზახთა პირველ არგუნის პოლკისა დაიჭრა 4 ყაზახი.

10 და 11 ივლისს დაშიჩაოსთან მომხდარ ბრძოლაში: ციმბირის მე-33 პოლკისა დაიჭრა 1 სალდათი; მე-34 პოლკისა: დაიჭრა პორ. სალლო და 3 სალდათი, მოკლულია ერთი სალდათი; მე-35 პოლკისა: დაიჭრა ერთი სალდათი, უკვალოდ დაიკარგა სამი და ერთიც მოკვდა (მზემ დაჰკრა); მე-9 სარტილერიო ბრიგადისა: დაიჭრა პოდპოლ. პაშჩენკო და 17 სალდათი; მოკლულია ერთი სალდათი, გაკაწრულია უფროსი ექიმი კოლომიეცი და 21 სალდათი; ტომსკის პოლკისა მძიმედ დაიჭრა პოლკოვნიკი უსპენსკი.

11 ივლისს იანზიგოუსთან: ჩიტას მე-2 პოლკისა: დაიჭრა და ჭრილ. მოკვდა პოდპორ. ივანოვი და დაიჭრა ორი სალდათი; საინჟენერო პარკისა დაიჭრა ორი სალდათი.

11 ივლისს სოფ. ძანჯაიძის ბრძოლაში: ბარნაულის მე-12 ქვეითა პოლკისა: მოკლულია შტ.-კაპ. სერდანოვსკი, პოდპორ. ონოშკოვიჩ.-იაცინო, პოდპორ. დანილევსკი და 27 სალდათი, დაიჭრა პორ. გროხოლკი, პოდპორ. მუროვეცკი და 166 სალდათი; გაიკაწრა პოდპორ. რიაზანოვი და 2[illegible] სალდათი, ბრძოლის ველზე დარჩა 12 სალდათი.

11 ივლისს სოფ. ტაიძისთან: მე-35 პოლკისა მოჰკლეს ერთი და დასჭრეს ორი სალდათი.

14 ივლისს ცუსინტუნთან: მე-18 პოლკისა დაიჭრა 6 სალდათი.

ახალი ამბავი

◆ **ტფილისის დედათა მეორე გიმნაზიაში** განმეორებითი ეგზამენები მოხდება 23—27 აგვისტოს. უმცროს განყოფილებაში უადგილობის გამო არავის მიიღებენ. სხვა კლასებში მისაღები ეგზამენები მოხდება 23-დან 28 აგვისტომდე. მე-4, 5, 6 და მე-7 კლასებში ჯერ-ჯერობით ვაკანსიები არ

ფელეტონი

ხოლერა

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ხოლერის გავრცელების ხმა თავ-ზარსა სცემდა მთელს საზოგადოებას, რადგან ყოველთვე ბრძოლა ამ სენის წინააღმდეგ უნაყოფო იყო. ხოლერა ვრცელდებოდა ისეთის სისწრაფით, იმდენ სხვერპლს შეიწირავდა ხოლმე, რომ ხალხის ხსოვნაში ყოველი ხოლერის ეპიდემია დიდხანს რჩებოდა. როგორც შიში ამ სენის წინაშე, ისე წინააღმდეგ ბრძოლის უნაყოფობა ადვილი გასაგებია, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1883 წლამდის მეცნიერებასაც არ ჰქონდა გამოკვლეული ხოლერის ბუნება და არ იყო შესწავლილი ის ზომები, რომელნიც დღეს მეცნიერებას მიაჩნია საჭიროდ ხოლერის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მხოლოდ 1883 წელს რობერტ კოხმა, იმ ექსპედიციის ხელმძღვანელმა, რომელიც გერმანიიდან გაგზავნილი იყო ეგვიპტეს ხოლერის დასხდოვებით შესასწავლად, აღმოაჩინა ეგრედ წოდებული სოკოები და ამ რიგად შესაძლებლად გახადა ხოლერის შესწავლა და მის წინააღმდეგ საბრძოლველ ზომების განვითარება. რობერტ კოხმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ხოლერით ავადმყოფის განავალში და აგრეთვე პირიდან ამონაღებში (ნარწყევში) მუდამ არიან ერთგვარი სოკოები. და ეს სოკოები სცნო მიზეზად ხოლერით ავადმყოფობისა. ამ [illegible] აღმოჩენის შემდეგ მეცნიერულად დაკვირვებით და სხვა-და-სხვა ცდით გამოირკვა ბუნება ხოლერისა, გამოირკვა აგრეთვე ისიც, თუ როგორ ვრცელდება ეს სენი და ამის დაგვარად შემუშავდა ზომები ხოლერის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ხოლერა, როგორც შინაური (Эндемическая) ავადმყოფობა, მუდამ არსებობს და არსებობდა ინდოეთში, ორის დიდის მდინარის ხეობებში: განგისა და ბრაჰმაპუტრასი, ისე როგორც ჩვენში ზოგიერთ ადგილას ციებ-ცხელება (малярія). კავკასიაში პირველად ხოლერა გაჩნდა 1823 წელს. 1830 წელს ეპიდემია ისეთის სიმძაფრით გავრცელდა და იმდენი მსხვერპლი შეიწირა, რომ ეს ხანა ქართველ ხალხში „დიდ ხოლერობის“ ხანად ითვლება. მართლაც მარტო ტფილისში 53 დღის განმავლობაში მოკვდა 3000 სული. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ იმ დროს ტფილისის მცხოვრებთა რაოდენობა იყო 30,000 სული, გამოდის, რომ ყოველ 10 სულში ერთი ხოლერას უმსხვერპლია. მას შემდეგ ყოველ 7—8 წელიწადში ერთხელ ჩნდებოდა ხოლერის ეპიდემია. მხოლოდ 1870 წლიდან 1892 წლამდის ხოლერა ჩვენში არა ყოფილა. 1892 წელს იყო უკანასკნელი ეპიდემია და ეხლაც მოველით უსიამოვნო სტუმრის სპარსეთიდან მობრძანებას.

როდესაც რობერტ კოხმა აღმოაჩინა ხოლერის სოკოები, ყველაზე უწინარეს შემდეგი საკითხი შეიქნა გადასაწყვეტი: ეს სოკოები ანუ ბაქტერიებია ხოლერის სენის გაჩენის მიზეზი, თუ კიდევ არის სხვა რამე? მხოლოდ ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ მეცნიერება შეუდგა ბაქტერიების ბუნების შესწავლას. შედეგი დაკვირვებისა იყო: 1. ბაქტერიები, რომელნიც რ. კოხმა აღმოაჩინა, მუდამ ხოლერით ავადმყოფის განავალსა და პირიდან ამონაღებშია; 2. ბაქტერიები ჩნდებიან განავალში მხოლოდ ხოლერის ეპიდემიის დროს; 3. ბაქტერიები არიან ხოლერით ავადმყოფის ნაწლევებში, დვიძლსა, ნაღვლის ბუშტსა, ტვირჩსა, ჭაჭებსა, გულის ფიცრის ძარღვში და სხვაგან. 4. ხოლერის სიძლიერე დამოკიდებულია ბაქტერიების სიმრავლეზე; 5. ბაქტერიების უმრავლესობა იმყოფება წვრილ ნაწლევების ქვედა ნაწილში, სადაც უფრო შესამჩნევი ცვლილებანი ხდება ავადმყოფობის დროს. 6. რობერტ კოხის ლაბორანტს ლაბორატორიაში მუშაობის დროს შემთხვევით შეეყარა ეს სენი და თან გადაჰყვა; 7. იგივე დაემართა ქალ. ჰამბურგში ექიმს ერგელს (Oergel.); 8. მეცნიერებმა პეტენკოფერმა, ემერიხმა და მეჩნიკოვმა განგებ გადაყლაპეს ხოლერის სოკოები და დასხდნენ ავად; 9. ქალაქ კალკუტის ახლო დაგუბებულ წყალში რ. კოხმა აღმოაჩინა ხოლერის სოკოები, მაშინ როდესაც გარშემო სოფლებში არც ერთი კაცი არ გამხდარა ავად ხოლერით; მცხოვრებნი, რომელნიც იმ წყალს სვამდნენ, ავად ხდებოდნენ.

ზემოდ ჩამოთვლილმა ფაქტებმა და მრავალმა სხვა დაკვირვებამ სამუდამოდ გამოარკვიეს, რომ ხოლერის ერთად-ერთი მიზეზი ის სოკოა, რომელიც რ. კოხმა აღმოაჩინა. შემდეგი ზოოლოგიური თვისებანი ახასიათებენ ხოლერის სოკოებს ანუ ბაქტერიებს: სიგრძე $1/3$—$2/3$ [illegible] ბაქტერიებისა აქვს, მხოლოდ ვრთ მომსხო, [illegible] თუ [illegible] სიდიდე აქვს ხოლერის ბაქტერიას, უნდა გახსოვდეთ, რომ იგი მხოლოდ მაშინ სჩანს შეუიარაღებელის თვალით, როცა გადიდებულ იქნება ათასჯერ. ყველა ბაქტერია სწორი არ არის ჩხირივით, არამედ ზოგი რკალივით მოღუნულია. ბაქტერია, ხელოვნურად აღზრდილი ხორცის წვენზე ან სხვა რამე მაგვარ საკვებზე, შესამჩნევის სიჩქარით მოძრაობს რამდენიმე ბეწვის საშუალებით, რომელიც ერთ-ერთ თავში აბია. როცა მას წყალი და ორგანიული ნივთიერებანი აქვს, ბაქტერია ძრიელ მრავლდება, მაგ. დასველებულ ტილოზე, ან შუაზე გაჭრილ ახალ კარტოფილზე; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ბაქტერია გახმა, იგი კვდება. მათი ხელოვნურად აღზრდა ადვილია ხორცის წვენსა, სისხლის შრატსა, რძესა და სხვა ამგვარ სითხეზე, თუ-კი სითხე მჟავე არ იქნება. თუ გარშემო ჰაერი 16°-ზე (ცელსისა) ნაკლები იქნება, ბაქტერიებს ზრდა და გამრავლება აღარ შეუძლიათ; თუმცა არც ისე იღუპებიან, რომ სათანადო პირობებში კვლავ არ იზარდონ, 8° სიცხე სამუდამოდ ჰკლავს ბაქტერიებს. ასეთია ბიოლოგიური თვისებანი ხოლერის ბაქტერიებისა.

საინტერესოა, რა გზით და რა პირობების გამოისობით ჩნდება ხოლერის სოკო ადამიანის სხეულში და იწვევს ავადმყოფობას? ეჭვ გარეშეა დღეს, რომ ხოლერის გავრცელება შეიძლება მხოლოდ სენის ერთი ადგილიდან მეორეში გადატანით. ეჭვს გარეშეა აგრეთვე ისიც, რომ განავალი ხოლერით ავადმყოფისა განსაკუთრებით ხელს უწყობს ხოლერის გავრცელებას.

არის და მხოლოდ დამატებით ეგზამენების შემდეგ აღმოჩნდება, არის ვაკანსიები თუ არა.

◆ გუბერნატორმა მისწერა ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილეს, **შეაჩეროს საბჭოს დადგენილება** საავადმყოფოსათვის ფელდტოვის და თუმანოვის ადგილების შეძენის შესახებ.

◆ შემოდგომიდან ტფილისის **სამხატვრო სკოლაში** იხსნება მეოთხე კლასი.

◆ **საერობო თანხიდან გადადო** — 122,975 მანეთი, აქედან 70,800 მანეთი სამაზრო პოლიციის სამგზავრო ფულად, ხოლო 52,175 მანეთი—იმავე პოლიციისათვის ბინების დასაქირავებლად.

◆ მთავრობამ დაამტკიცა წესდება რაჭის მაზრის **სოფელ ბუგეულის შემნახველ-გამსესხებელ** ამხანაგობისა. განკარგულება ამის შესახებ დაბეჭდილია „კანონთა და განკარგულებათა კრებულში“.

◆ უკვე ვწერდით, რომ **სოხუმის ოლქში ფილოქსერა გაჩნდათ**. ფილოქსერა აღმოუჩენიათ სოფელ სესლახუბაში გუგა სატიას ვენახში. კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა განკარგულება მოახდინა, რომ ამ ვენახიდან არავინ გაიტანოს ვაზი, ყლორტი ან მტევანი, რათა სენი სხვაგანაც არ გადავიდეს.

◆ 24 ივლისს საქართველოს ექსარხოსმა სოფელ წინამძღვარიანთ კარში დაათვალიერა **წინამძღვარიანთ კარის სასოფლო-სამეურნეო სკოლა**. ექსარხოსი ზედაზნის მონასტრიდან ჩასულა. დაუთვალიერებია სკოლის ეკკლესია, მუზეი, ბიბლიოთეკა, სასწავლო ნივთები, კლასები, სახელოსნო, მარანი, ყმაწვილების ოთახები და ფერმა.

◆ როგორც საჩხერიდან გვატყობინებენ, **პროფესორს ალ. ხახანაშვილს** დაუთვალიერებია **ჯრუჭის** ძველი მონასტერი და გაუცვნია იქაური ნივთები და ხელთ ნაწერები. შემდეგ დაუთვალიერებია წმ. გიორგის ეკკლესია სავანეში, საჩხერიდან 6—7 ვერსის მანძილზე.

◆ პოლიციის 1-ლ ნაწილის სასანიტარო მზრუნველს დაუთვალიერებია **საარტილერიო ბალკა** და ბევრი კერძო სახლი პოლიციის 1-ლ ნაწილში. მთელი ეს უბანი მეტად ანტისანიტარულ მდგომარეობაში აღმოჩნდა თურმე. ყოველივე სიბინძურეს მცხოვრებნი იქვე ხევში ჰყრიან თურმე, რის გამო ხევი ნაგვითა და უსუფთაობით არის სავსე. მზრუნველი ურჩევს გამგეობას ეხლავე დიდი არხი გაიყვანოს ამ უბანში. ამას გარდა მზრუნველი სთხოვს კომისიას, დახუროს „ბერლინის“ სასტუმრო, იქვე ხუნდაძის დუქანი, ქეშიშევის სახლის შესავალი და პეტრე ხოლიპინის სავაჭრო სახლი იმ დრომდე, ვიდრე ისინი მზრუნველის წინადადებას არ აასრულებენ.

◆ პოლიციის მე-5 ნაწილის სასანიტარო მზრუნველმა წარუდგინა გუშინ სასანიტარო კომისიას რამდენიმე ოქმი და სთხოვა, **პასუხის გებაში** მისცეს პუშკინის ქუჩის ვაჭარნი მჭედლიშვილი, კარაპეტ გევონდოვი და სხვანი, რომელთაც თავიანთი სავაჭრო სახლები მეტად უსუფთაოდ აქვთ თურმე.

◆ ცხინვალსა და იმის გარშემო მდებარე სოფლებში, როგორც გვატყობინებენ, მუცელა და ყივანა ხველა მძვინვარებს. ამ ჟამად მთელს ხეობაში არა ჩვეულებრივი სიცხეებია თურმე, ყველგან ხოლერის „საწინააღმდეგოდ“ თადარიგს სწევენ, ცხინვალი-კი ძველებურად უსუფთაობის მორევში ცურავობს.

◆ გუშინ, 27 ივლისს, გუბერნატორმა აცნობა ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილეს, რომ იგი წინააღმდეგი არ არის, თუ ქალაქი ქუჩების მოკირწყვლის საქმის ხელმძღვანელად მოიწვევს ინჟინერს მოლოდცოვს.

◆ სასანიტარო მზრუნველს ი. ხრამელაშვილს ექიმ შჩერბინინსთან ერთად პოლიციის მე-10 ნაწილში დაუთვალიერებია პოლკოვნიკ ლაზრევის სახლი და ეზო, რომელიც მეტად უსუფთაო მდგომარეობაში აღმოჩნდა თურმე. სახლის ეზოში აუარებელი ნაგავი და უწმინდურებაა, რომლისაგანაც საშინელი სუნი სდგას მთელს უბანში. მზრუნველმა სთხოვა კომისიას, პასუხის გებაში მისცეს სახლის პატრონი.

◆ ტფილისის მე-4 ნაწილის ბოქაულმა აცნობა გუშინ ქალაქის მოურავის მოადგილეს: მთავარმართებლის სასახლის მაღალ ფიცრის ღობით შემოვლების შემდეგ პროსპექტზე სახლის წინ სიბნელეაო. ბოქაული სთხოვს ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინოს, რომ სასახლის წინ ქვაფენილი გაანათონ.

◆ ქალაქის გამსუფთავებელ რაზმის ხელმძღვანელმა მუშებთან ერთად დაათვალიერა სოლოლაკის დიდი არხი და აღმოჩნდა, რომ იგი ყოველივე სიბინძურით ყოფილა სავსე. არხში 150 დიდ ურემზე მეტი უსუფთაობა და ნაგავია თურმე. რაზმის ხელმძღვანელი შეეკითხა სასანიტარო კომისიას, მიბრძანეთ როგორ მოვიქცე, გავწმინდო თუ არა არხიო.

◆ 26 ივლისს, საღამოს 6 საათზე, ნაძალადევში ყუბანის ქუჩაზე უბედურება მოხდა. ვიღაც ძალზე მიაქანებდა ტაჩკას, მოულოდნელად დაეჯახა იგი სამი წლის ბავშვს და ზედ გადაუარა. ყმაწვილმა იქვე განუტევა სული.

◆ ალექსანდროპოლიდან ამას წინად ტფილისში საექიმოდ ჩამოსულა ცოფიან ძაღლის მიერ დაკბენილი ყაზახთა ჯარის აფიცერი ალექსანდრე ბაზილევსკი (22-23 წლისა). ექიმობის შემდეგ ბაზილევსკი თავის ნაცნობებთან ჩამომხტარა მურადოვის სახლში საპიორნი ქუჩაზე. 26 ივლისს სხვებთან ერთად ისიც სადილობდა. სადილის დროს, როდესაც მოსამსახურე ქალს, სახელად ნატალიას, მეორე კერძი შეუტანია, რევოლვერი ამოუღია, დაუმიზნებია ქალისათვის და უთქვამს: „ნატაშა, გინდა ეხლავე გაგათავოო“. შემდეგ რევოლვერის ტუჩი თავისთვის გულზე დაუდვია და უთქვამს: „არა, გინდა მე მოვიკლა თავიო“. ამ დროს უეცრად იგრიალა თურმე რევოლვერმა, ტყვია ბაზილევსკის გულში მოჰხვედრია, გადავარდნილა და იქვე მომკვდარა. გაუფრთხილებლობის მსხვერპლი მიხეილის საავადმყოფოს საანატომიო განყოფილებაში გაჰგზავნეს.

◆ როგორც ტფილისის ქალაქის გამგეობის ცნობებიდანა სჩანს, ქალაქის საყასბოში შარშან დაუკლავთ მსხვილ-ფეხა საქონელი 68,601 სული; წვრილი—202,498, ხბო—6168, ღორი—22,108 და ცხენი—5.

◆ გუშინ ვწერდით ქურდების მიერ მირზოევის სახლის გატეხის შესახებ. როგორც მირზოევის საქმეების მმართველის განცხადებიდანა სჩანს, ქურდებს ვერაფრის წაღება ვერ მოუსწრიათ. ეჭვი მიუტანიათ მირზოევის ყოფილ მსახურ იბრაჰიმ-ისმაილ-ოღლიზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს. იბრაჰიმი გამოტყდა თურმე.

◆ სასანიტარო კომისიამ პირველ ნაწილის მომრიგებელ მოსამართლეს გაუგზავნა გუშინ ოქმები კუნდუროვისა და ხატიევის შესახებ, რომელთაც სასანიტარო დადგენილებანი დაურღვევიათ.

რუსეთის ქრონიკა

◆ სამარის საგუბერნიო ერობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ აღარ გაიწვიონ სამარის გუბერნიიდან ექიმები შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნად. უკვე 15 ექიმი გაუგზავნიათ იქიდან და ბევრი სოფელი უმკურნალოდ დარჩენილა.

◆ პეტერბურგის ქალაქის გამგეობას დაუდგენია იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რათა აეკრძალოს თეატრების გამგეთ გამოყვანა სცენაზე ბავშვებისა, რომელთაც 15 წლიწადი არ შესრულებიათ.

◆ დღე არ გავა ისე, რომ გაზეთებმა არ გვაუწყონ რაიმე ამბავი მდინარე ვოლგის გემებზე მომხდარ უწესოების შესახებ. მაგალითად, ამას წინად ერთ გემის უფროსს აღმოუჩენია უბილეთო მგზავრი გლეხი და განკარგულება გაუცია არ გაეშვათ იგი ნაპირზე, სანამ გემი დანიშნულ ადგილს არ მივიდოდა. საბრალო გლეხი გადავარდნილა წყალში. უნდოდა ცურვით გასულიყო ნაპირზე, მაგრამ ძალ-ღონემ უმტყუნა და დაიხრჩო.

◆ წელს რუსეთში საზოგადოდ კარგ მოსავალს მოელიან და ამ ჟამად ფინანსთა სამინისტრო ზრუნავს, რომ თავის დროზე რუსეთის რკინის გზებზე ვაგონების საკმაო რიცხვი იქნას მზად პურის გადასაზიდად. უკვე მოლაპარაკება გაუმართავს გზათა სამინისტროსთან იმის შესახებ, რომ მომატებულ იქნას რიცხვი საქონლის ვაგონებისა, რადგან ბევრი ვაგონი გაიგზავნა ციმბირის რკინის გზაზე ომის საჭიროებისათვის.

◆ რუსეთ-იაპონიის ომის მიზეზით მთავრობამ ბევრგან შეამცირა და ზოგგან კიდევაც მოსპო წინად არსებული სესხის გაცემა. სხვათა შორის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს უარი უთქვამს მოსკოვის ერობისათვის მეურნეობის გასაუმჯობესებლად სესხის მიცემაზე, თუმც კარგა ხანია გადაწყვეტილი ჰქონიათ მიეცათ ერობისათვის ეს სესხი.

◆ ციმბირის სამხედრო ოლქში ბრძანება გამოსცეს, ამ ბოლო დროს ჯარში და მცხოვრებთა შორის გაჩნდა სტომაქის სნეულებანი, რომელთა წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ზომები უნდა იქნას მიღებულიო.

◆ მთავრობის განკარგულებით, ყველა ჯარის კაცთა და აფიცრებს, რომელნიც შორეულ აღმოსავლეთში ბიდიან, შეუძლიათ უმარკოთ ჰგზავნონ ფოსტით უბრალო და ღია წერილები.

◆ ხარკოვის გუბერნიის ერობამ გამოაქვეყნა ცნობები თავის მოქმედების შესახებ, რომლებიდან სჩანს, რომ ერობას გუბერნიის სხვა-და-სხვა ადგილებში ჰქონია საწყობები სამეურნეო მანქანებისათვის, რომელთაც შეღავათიანის პირობებით, ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდით ჰყიდის გლეხთა შორის. ამნაირად ერობას ბევრი საჭირო სამეურნეო მანქანა გაუვრცელებია ხალხში. ერობა აგრეთვე ქირით აძლევს გლეხებს მანქანებს სახმარებლად.

◆ კიევის და ვოლინის გუბერნიის ზოგიერთ მემამულეებს შემდეგი ახალი საშუალება აღმოუჩენიათ თავის მამულების იჯარით გასაცემათ. უმიწაწყლო გლეხთა ამხანაგობათ აღგენენ თურმე და იმათ აძლევენ იჯარით მამულს სანახევროდ.

◆ „ს. პეტ. ვედ.“-ს სწერენ სამხრეთ რუსეთის ქ. ელეცადან, რომ ადგილობრივ რკინის გზის დარაჯებსა და მეისრეებს ერთად გამოუწერიათ მოსკოვიდან დეპეშები ომის შესახებ. ეს ამბავი ამათ უფროსს გაუგია და გამოუცხადებია მუშებისათვის, მეც მიმიღეთ თქვენს ამხანაგობაშიო. მუშებს, რასაკვირველია, უარის თქმა ვერ გაუბედნიათ. უფროსს განკარგულება გაუცია, ახლად მიღებული დეპეშა პირველად მას მოუტანონ წასაკითხავად. წაკითხულ დეპეშას უფროსი მხოლოდ მეორე და მესამე დღეს უბრუნებდა მუშებს, რომლებმაც მოთმინება დაჰკარგეს და ხელახლად გამოიწერეს დეპეშები.

◆ რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილ ცნობებით, ოდესიდან ყოველ წლივ 150 მილიონი ფუთი პური გააქვთ საზღვარ-გარედ. ზღვაოსნობა იმდენად განვითარებულა ამ ბოლო წლებში, რომ ოდესის დიდი ნავთსადგური ვეღარ იტევს თურმე ყველა გემებს და ამ ჟამად განუზრახავთ პურის მზიდავ გემებისათვის ცალკე ნავთსადგურის გამართვა. მართავენ აგრეთვე პურის საწყობს, რომელიც 4 მილიონ ფუთს დაიტევს და სამ მილიონ ნახევარი დაჯდება.

◆ 21 ივლისს პეტერბურგიდან წავიდნენ ფრანკფურტში (გერმანია) ფინანსთა და გზათა სამინისტროების წარმომადგენელნი რკინის გზების კავშირთა შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ პეტერბურგის ზოგიერთ მომრიგებელ მოსამართლეებს ქალები მიუღიათ სამსახურში და ისე მადლიერნი არიან ქალებისა, რომ აწინაურებენ და მომრიგებელ სასამართლოს მდივნის ადგილსაც აძლევენ თურმე. ამ ჟამად პეტერბურგის სასამართლოებში ბევრი უმაღლეს კურს-დასრულებული ქალი მსახურებს.

პრესსა

გაზეთი „რუს“ დარწმუნებულია, რომ ინგლისი მარტო ტიბეტის დაჭერით არ დაკმაყოფილდება. ეს მხოლოდ წინასიტყვაობა არისო, ამბობს გაზეთი, რადგან ინგლისს უფრო დიდი გეგმა აქვს შედგენილიო. ინგლისის განზრახვაა,

> დიდბრიტანიის ბატონობა დაამკვიდროს სამხრეთ სპარსეთში და შაჰს რამდენიმე პროვინცია წაართვას. ამის განსახორციელებლად ინგლისი აპირებს მოკლე ხანში ახალის ექსპედიციის გაგზავნას სამხრეთ სპარსეთში. ვისგან და რამდენი კაცისაგან შესდგება ეს ექსპედიცია, ჯერ არავინ იცის. ამავე დროს ინგლისი შეეცდება სეისტანის დაპყრობასაც.

გაზეთი ჰფიქრობს, რომ ინგლისი სამხედრო ექსპედიციას არ გაგზავნის სპარსეთში, არამედ ეცდება „მშვიდობიანის საშუალებით“ აღისრულოს წადილი; მაგრამ არაფრისა და არავისა-კი არ მოერიდება, მით უმეტეს რომ რუსეთი ძნელს ომშია გართულიო. უეჭველიაო, დასძენს გაზეთი,

> ინგლისელები სპარსეთში ისე არ იმოქმედებენ, როგორც ტიბეტში: ჯარსა და ზარბაზნებს იქ არ გაგზავნიან. ყველაფერს შვიდობიანობის ხასიათი მიეცემა და რაც შეიძლება ფარულად გაკეთდება ყველაფერი. მაგრამ, ჩვენი ვალია, გაფაციცებით თვალ-ყური ვადევნოთ ინგლისის ყველა მოქმედებას სპარსეთში. ზოგი მათი ნაბიჯი პირველის შეხედვით სერიოზულ პოლიტიკურ მნიშვნელობას მოკლებულია, მაგრამ ამით თვალი არ უნდა ავიხვიოთ: დღეს ტიბეტი, ხვალ სპარსეთი,—ასეთი მოძრაობა ინგლისელთა მომავალში საფრთხეს გაგვიჩენს.

⁂

ამ დღეებში ვაცნობეთ მკითხველთ ქალთა საექიმო ინსტიტუტის წესდების შეცვლის ამბავი. ექიმ-ქალებს მიენიჭათ თითქმის ყველა ის უფლება, რომელიც ექიმ კაცებს აქვთ,—სამსახურისა თუ სამეცნიერო ხარისხის მიღების უფლებანი. რუსული გაზეთები, რასაკვირველია, სიამოვნებით ეგებებიან ამ ახალ კანონს და ულოცავენ ქალებს სამოღვაწეო ასპარეზის გაფართოვებას. ექიმ-ქალებმა დაიმსახურეს ეს ჯილდო და იმედია, კიდევ უფრო გაამართლებენ ნდობასაო... სხვათა შორის, „ბირჟ. ვედომ“. სწერს:

> ექიმ-ქალების ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა შრომამ როგორც იქმნა მიიქცია მთავრობის ყურადღებაც და იმათაც მიენიჭათ ყველა ის უფლებანი, რომლებითაც მარტო მამაკაცი ექიმები სარგებლობდნენ. მხოლოდ პროფესორობის უფლება არ მიეცათ ჯერ ქალებს; მაგრამ ის გარემოება, რომ ქალებს შეუძლიათ პროფესორებთან ასისტენტებად იყვნენ, გვიჩვენებს, რომ ახლო მომავალში ამ უფლებასაც მიანიჭებენ ქალებს.

გაზეთი „ნოვოსტი“-ც კმაყოფილია ახალის კანონით, მხოლოდ გაკვირვებულია წესდების მე-3 მუხლით. ეს მუხლი ამბობს: ინსტიტუტთან უნდა დაარსდეს ინტერნატი (საერთოდ საცხოვრებელი პანსიონი) იმ მოსწავლე ქალთათვის, რომელნიც ან მშობლებ-ნათესავებთან არ ცხოვრობენ ან და ისეთ პირებთან არიან ბინად, რომლებსაც ინსტიტუტის მთავრობა ვერ ენდობა. ამ მუხლის გამო გაზეთი შენიშნავს:

ნავლა რომ, უკეთუ ხოლერით ავადმყოფის განავალი არ გახმა, ხოლერის სოკო ძლიერად მრავლდება და ემატება ძალა. ხოლერის სოკო, ავადმყოფის სხეულიდან გამოსული, ჰპოულობს ბევრ შესაფერ პირობებს თავის აღზრდისა და გავრცელებისათვის. დასველებულ სარეცხზე, წყალში, რომელშიაც საკმარისად მოიძებნება ორგანიული ნივთიერება, სხვა-და-სხვა გვარ საჭმელში, ნოტიო მიწის ნიადაგში, ყველგან მრავლდება იგი; შემდეგ მრავალ გზით შეუძლიან იპოვოს ბინა ადამიანის სხეულში. თვითონ ადამიანს გადააქვს ერთი ადგილიდან მეორეში ხოლერის სოკო და ავრცელებს. ყველა ზევით აღნიშნული მოსაზრებანი მტკიცდება შემდეგის უტყუარის ფაქტებით: 1. ხოლერა ვრცელდება შარა გზისა და რკინის გზის გაყოლებაზე და მხოლოდ იმავე სიჩქარით, რა სიჩქარითაც შეუძლიან კაცს ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადავიდეს; 2. უფრო ხშირად ისინი ხდებიან ავად, ვისაც რამე დამოკიდებულება აქვს ან ავადმყოფთან ან იმის ნივთებთან (მაგ., მრეცხავები ან ავადმყოფის ყურის მგდებელი); 3. ხოლერა ხშირად ვრცელდება მდინარის დასწვრივ; 4. ხოლერა განსაკუთრებით მძვინვარებს იქ, სადაც ბევრი, დაძველებული, დამპალი ხილია; 5. მოწამლული წყალი ხელს ძლიერ უწყობს ხოლერის გავრცელებას: ამასთანა შემთხვევა იყო ქალაქ ჰამბურგში.

მარტო ბაქტერიების გადაყლაპვა არ არის საკმაო, რომ ადამიანი ავად გახდეს. ბევრნი ყლაპავენ ბაქტერიებს ხოლერის ეპიდემიის დროს, [illegible] არ ხდებიან ავად, ანარადა იხდიან [illegible] ერობაში [illegible] ძლიერ ადვილად. ეს მოვლენა ერთის მხრივ აიხსნება იმით, რომ თვითონ სხეულს აქვს შეძლება წინააღუდგეს ხოლერის ავადმყოფობას მაშინაც-კი, როცა ბაქტერია უკვე სხეულში ბინადრობს, და მეორეს მხრივ საჭიროა, ბაქტერია სტომაქიდან ნაწლევებში გავიდეს დაუზიანებლად, რომ მას შეეძლოს ზრდა და ხოლერის საწამლავის შემუშავება. ეს კი ყოველთვის არ არის შესაძლებელი, რადგან სტომაქში არის ერთგვარი სიმჟავე, რომელიც ჰკლავს ბაქტერიას ან ისე აუძლურებს, რომ მრავლება აღარ შეუძლიან. ადვილი მისახვედრია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კარგ სტომაქს ადამიანის ჯანმრთელობისათვის კერძოდ ხოლერის ეპიდემიის დროს. მაგრამ საკმარისია მხოლოდ ერთი ბაქტერია გავიდეს დაუზიანებლად ნაწლევებში, რომ 3—4 დღის შემდეგ მილიარდამდის გამრავლდეს და გამოიწვიოს ესა თუ ის ფორმა ხოლერით ავადმყოფობისა.

როგორც უკვე ზევით მოვიხსენიეთ, ყველა ერთნაირად არა ხდება ავად, ეს მოვლენა დამოკიდებულია სავსებით იმაზე, თუ როგორ არის ამა თუ იმ პირის სხეული ფიზიკურად მომზადებული ავადმყოფობასთან საბრძოლველად. ზოგი სრულებით არა ხდება ხოლერით ავად, თუმცა შეიძლება ხოლერობის დროს ბევრი ბაქტერიაც ჩაყლაპოს; ზოგი ძლიერ სუბუქად იტანს ავადმყოფობას, და ზოგიც რამდენისამე საათის განმავლობაში ეთხოვება წუთისოფელს. სამი ტიპიური ფორმაა ხოლერით ავადმყოფობისა და ამათ აგწერთ, მკითხველს წარმოდგენა ჰქონდეს, თუ რაში გამოიხატება ხოლერით ავადმყოფობა.

ექიმი ვ. მუსხელიშვილი.

(დასასრული იქნება)

რა-კი ქალთა საექიმო ინსტიტუტში 28 წლისაზე უნცროსს არ იღებენ, რადა საჭიროა უთუოდ იმის მოთხოვნა, რომ მოსწავლე-ქალმა ან მშობლებთან იცხოვროს ან ვინმე „სანდო პირთან?“.. 28 წლის ქალი მცირე წლოვანი ბავშვი აღარ არის, რომ აპეკუნი სჭირდებოდეს. დროა, მეტის ნდობით მოვეპყრათ ქალებს და მეტი თავისუფლება მივანიჭოთ.

გარდა ამ მუხლისა „ნოვოსტი“ და ზოგიერთი სხვა გაზეთი იმის უკმაყოფილოც არის, რომ ახალის წესდებით ქალთა საექიმო ინსტიტუტებში მხოლოდ 3% ებრაელ-ქალს შეუძლიათ სწავლა. გაზეთი ამბობს: თუ ებრაელთა უფლების ამ მხრით შეზღუდვა აუცილებელია, პროცენტი მაინც იყოს ცოტა მეტიო.

სასამართლო

პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევა

რაჭის მაზრის სოფელ გორისუბნის მცხოვრები ნიკოლოოზ არსენის ძე დვალი მსახურად ყოფილა მალაკანთა მეორე ქუჩაზე ვაჭარ სარქის ნურალოვის სასმელების დუქანში. 1902 წელს, 2 თებერვალს, დილით ადრე დუქანში შესულან პოლიციელები სიმონ ნიკიტინი და ევთიმე დიმიტრიენკო. დიმიტრიენკოსა და ნიკიტინს ზედი-ზედ 4 ჭიქა არაყი დაულევიათ. დიმიტრიენკოს 10 კაპ. მიუცია, ხოლო ნიკიტინს არაფერი და გასულან გარედ. ცოტა ხანს შემდეგ დუქანში ხელ-მეორედ დაბრუნებულა დიმიტრიენკო, და გადაუკრავს კიდევ 4 ჭიქა არაყი. დვალს უთქვამს, დანახარჯის ფული დასტოვეთ და მერე მიბრძანდითო. დიმიტრიენკოს ფული არ მიუცია და ამის გამო მოსვლიათ ჩხუბი. დვალს ჯერ ხელით უცემია და შემდეგ დანით დაუწყია კისერში ცემა. ეს დაუნახავს იქვე მდგომ სიმონ ნიკიტინს და წაშველებია დიმიტრიენკოს. ამ დროს ნიკიტინს რამდენჯერმე მაგრად შემოურტყამს დვალისათვის. დვალს ახლა ნიკიტინისათვის მოუქნევია დანა და სამგან მსუბუქად დაუჭრია. დვალი პასუხის გებაში მიუციათ; აბრალებდნენ პოლიციელისათვის სამსახურის აღსრულების დროს წინააღმდეგობის გაწევას. ეს საქმე ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია 26 ივლისს. ნიკოლოოზ დვალმა ზემოდ აღნიშნული ვითარება საქმისა არ უარ-ჰყო, მაგრამ თავი დამნაშავედ არ იცნო და სთქვა, ვალს არ იძლეოდნენ და პირველად თვითონვე დამიწყეს ცემაო. მოწმეებმა შეამოწმეს საქმის ასეთი ვითარება. ოლქის სასამართლომ გაამართლა დვალი.

თეატრი

ჩხარი. 18 ივლისს ბ-ნმა სიმონგულოვმა გამართა ქართულ-სომხური სასიმღერო, სალიტერატურო საღამო და წარმოდგენა. სიმღერები მთლად სომხური იყო და ხორო ორ ხმაზე მოემზადებინათ. ჩხარელმა სომხებმა სომხური დიდი ხანია აღარ იციან. სიმღერა მოსწონდათ, მაგრამ სწუხდნენ, რომ სიტყვები არ ესმოდათ. საღამოს პირველი განყოფილება დაიწყო რუსულ ჰიმნის შესრულებით, რომელსაც მოჰყვა ლექსების კითხვა. ყოველ ქართულად წარმოთქმულ ლექსს, მოსდევდა ხოროს სომხური სიმღერა. დამსწრე საზოგადოებას ძალიან მოეწონა ლექსიც და სიმღერაც და უწყალო ტაშის ცემით დააჯილდოვა ყველანი. პირველ გინყოფილების შემდეგ გაიმართა წარმოდგენა. ითამაშეს გ. სუნდუკიანცის „ოსკან პეტროვიჩი იმ სოფელს“.

სოფ. მეჯვრისხევი. 20 ივლისს სცენის მოყვარეებმა გამართეს წარმოდგენა აქაურსავე სავადმყოფოს სასარგებლოდ. დადგეს „ბაიყუში“, „დატრიალდა ჯარა“ და „ჭკუისა მჭირს“. წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა. მოთამაშეთა შორის დამსწრეთ უფრო მოეწონად ქ-ნი ეფ. კობახიძისა, ბ-ნნი მ. ლოლაძე, დ. თულაშვილი და სხვანი. შემოსავალი ხუთ თუმნამდის იყო. მიუხედავად იმისა, რომ შემოსავალი დანიშნული იყო სიმპატიურ დაწესებულებისათვის, ერთი ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა გულმოდგინედ ვერ მოეკიდა საქმეს.

ბლესტნიკა.

წერილები

სოფ. ერკეთი (გურია). დიდი ხანია, რაც ამ სოფელში ქუნთრუშა მძვინვარებს და ბევრი ბავშიც იმსხვერპლა. არიან ისეთი ოჯახები, სადაც დიდსა და პატარას ყველას სჭირდა ეს სენი. რა-კი ძლიერი ყელის ტკივილი დასდევს თან, ამ სენს ბევრი „კისერას“ უწოდებს და ბევრი „ღორის ჭირს“ (ჭირიანი ღორი ჭამეს და იმასაგან გაუჩნდათო). ხალხი ამ სენს ნაკლებად უფრთხილდება და ამ ბოლო დროს ლამის ეპიდემიური ხასიათი მიიღოს. საჭიროა რაიმე ზომების მიღება. მეშვიდე თუ მერვე წელიწადია, რაც ჩვენს საზოგადოებაში მიწის მზომელი მიწებს მიჯნავს. გარდა აუარებელ ცდენისა, მუშა ხალხი იტანჯება ზედ-მეტ ხარჯით: მიწის მზომლისათვის (წელიწადში ექვსი თვის განმავლობაში მუშაობს) სახლი, შეშა, ნახშირი და ცხენი, ფულად სულ ჯდება არა ნაკლებ ოცის თუმნისა. ამასთან მხატვრისათვისაც (წრევანდლამდის ერთი და იგივე მიჯნავდა და გეგმებსაც ხატავდა, წრეულს კი ცალკე მხატვარი დაუნიშნავთ) ოცი თუმანი ხარჯი. რომ ზედ მიუმატოთ, შედგება ორმოცი თუმანი, რაიცა დიდ ტვირთად აწვება მარტო გლეხ-კაცობას. თავად-აზნაურობა და სამღვდელოება ამ ხარჯში მონაწილეობას არ იღებს, თუ გინდ იმათი მიწა უფრო ბევრი იმიჯნებოდეს, ვიდრე დანარჩენებისა. საზოგადოებას თხოვნა მიურთმევია მთავრობისათვის, ამ ხარჯში შეგვაწიეთ სხვა წოდებაცაო, მაგრამ ჯერ პასუხი არ არის. სიმინდსაც და ღომსაც აქეთკენ ჯერ კარგი ამინდი ჰქონდა და კარგი პირიც უჩანს. ალაგ-ალაგ ყურძენიც კარგია ჯერ და ხეხილი კი, სხვა წარსულ წლებთან შედარებით, ნაკლებია.

ს. მ.

სოფ. ნოქალაქევი (სამეგრელო). ფოსტის განყოფილების უქონლობა ძალიან აწუხებს ნოქალაქეველებს. ასეთი განყოფილება აქ მეტად საჭიროა და აქაურ ფოსტით შეუძლიან ისარგებლონ არა მარტო ნოქალაქევის მცხოვრებლებმა, არამედ ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებმა. ნოქალაქევში, ტეხურის მარცხენა ნაპირას, მთის დასავლეთ ნაწილში, არსებობს თბილი აბანო, რომელიც ჰკურნავს ადამიანს ზოგიერთ ავადმყოფობისაგან. ნოქალაქევის აბანო განთქმულია ზუგდიდის და სენაკის მაზრებში და ზაფხულობით, მეტადრე ივლისსა და აგვისტოს, აქ დიდძალი ხალხი იყრის თავს. სამწუხაროდ, აბანო ვერ არის სასურველად მოწყობილი. აბანოში მოსიარულენი მარჯვენა ნაპირიდან უნდა გადავიდნენ მარცხენაზე, სადაც აბანოა, და აქ მდინარე ტეხურზე ხის ხიდია. საკმაოა, ტეხურმა პატარა მოიმატოს და ხიდის ნაშთსაც ველარ ნახავთ; წყალი წაიღებს. ასე რომ წყალ-დიდობის დროს აბანოში მისვლა და დაბრუნება შეუძლებელია.

ბ. დ.—ია

ს. ქვიშანჩალა (სამეგრელო). სამტრედიის მახლობლად მდებარე სოფლები ძლიერ გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან. გაზაფხულზე ძლიერი, გადაუღებელი წვიმები იყო, ზაფხულში გვალვა დადგა, ამას ზედ დაერთო ძლიერი ზენა-ქარი და ქვენაც, და ახლად ამოსული სიმინდები სულ მიწაში ჩასწვა და ჩათუთქა. ბაღეულობა გვალვისაგან მოისპო. ამის გამო ყოველგვარ სანოვაგის ფასმა ძლიერ აიწია: ფუთი სიმინდის ფქვილი ფასობს ჩვენს სოფელში ჯერჯერობით 80 კაპეიკად; სიმინდი კი 70 კაპ. შარშან ჩვენ სოფელში სიმინდის ფასი 50 კაპ. იყო და ფქვილისა—55 კ. სიძვირეს ვინ დაეძებს, როდესაც სასყიდლადაც აღარ იშოვება სიმინდი. ჩვენ სოფელში, სადაც 100-მდე კომლია და ინტელიგენტებიც მოიპოვებიან, მხოლოდ ორი ცალი გაზეთი მოგვდის. ნათქვამია, ცხრა ძმას ცხრა უღელი ხარი ბევრი ეგონაო. ჩვენც ასე მოგვდის: ორი ცალი გაზეთის გამოწერა ამოდენა სოფელში არა თუ საკმაოდ, სატრაბახოდაც მიგვაჩნია.

ა. ქ.—ძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ივლისი

ჩიფუ. („რეიტერის სააგენტო“). პორტ-არტურიდან მოვიდა 200 ჩინელი და 50 რუსი, რომელნიც არ ამოწმებენ ხმას შესახებ იაპონურ კრეისერის დაღუპვისა. ორ ფრანგ კორესპონდენტს, რომელნიც ჯონკებით პორტ-არტურში შესვლას სცდილობდნენ, დაუნახავს 24 იაპონური გემი, ნავთსადგურის წინ რომ მიდი-მოდიოდნენ. ირწმუნებიან, რომ სკრიდლოვი პორტ-არტურში არ არის. პორტ-არტურიდან გაქცეულნი, რომლებმაც ნახეს სამი დღის ბრძოლა, უარჰყოფენ ცნობას, თითქო იაპონელები ციხიდან ერთი ვერსის მანძილზე იყვნენ და ამბობენ, რომ იაპონელები შიდა სიმაგრეებიდან 10—15 ვერსზე არიანო. იაპონელები ციხის ახლოს მართავენ სანგრებს. რუსები მხოლოდ არტილერიის საშუალებით იგერიებენ მტერს, ნიადაგ ყუმბარებს უშენენ იაპონელებს, რომელნიც სანგრებში მუშაობენ. ერთი კაცი, რომელმაც მგლის გორასთან ბრძოლა ნახა, ამბობს, რომ იქ 4 ათასი რუსი იგერიებდა მტერს. რუსებმა რამდენიმეჯერ დაყარეს თოფები და აგორებდნენ სიმაღლიდან კლდის ნანგრევებს, რომლებითაც ტყვიებზე უფრო მძლავრად ელეტდნენ მტერს. ააფეთქეს მოხერხებულად დამალული ნაღმები და კლდის ნამტვრევები ორი ვერსის სიშორეზე გაჰფანტეს. ამბობენ, ერთის ნაღმით რუსებმა იაპონელთა ორი ესკადრონი ამოსწყვიტესო. გამოქცეულნი ამტკიცებენ, რომ იაპონელები დიდად დაზარალდნენ. როცა იაპონელებმა მგლის გორა დაიჭირეს, მიწა დაფარული იყო მათ თანამემამულეთა გვამებით. 14 ივლისიდან მოკიდებული დღე და ღამ, ორი დღის განმავლობაში სალდათები განუწყვეტლივ იბრძოდნენ, თითქმის არაფერი არ უჭამიათ და არც დასვენებულან. მოდიოდნენ რეზერვის ჯარები, რომელთაც მუსიკა უძღოდა წინ. მუსიკა ნაციონალურ ჰიმნს უკრავდა და ჯარი „ურა“-ს ძახილით ეგებებოდა. გენერალმა სტესსელმა საყოველთაო ბრძანება გამოსცა, რომელშიაც მადლობას უცხადებს სალდათებს და ამბობს, თქვენი სიმამაცე ამტკიცებს, რომ ციხეს თავის დღეში ვერ აიღებს მტერიო.

26 ივლისი

ლხასსა. 21 ივლისს მოვიდა ინგლისის ექსპედიცია და დაბანაკდა პოტალთან, იმ ბაღების მახლობლად, რომელიც დალაი-ლამის კერძო საკუთრებას შეადგენს. ნეპალის რეზიდენტმა აცნობა ინგლისელებს, რომ ლხასში შესდგა დასი, რომელმაც ფიცი დასდო, დავიხოცებით და ინგლისელებს კი არ შევუშვებთ ქალაქშიო.— დასი სხვაგან წავიდა, როდესაც აკრძალულ იქნა ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ტიბეტელებს მხოლოდ ინგლისის მფარველობის ქვეშ შეუძლიანთ გაძლიერდნენ. ჩინეთის ამბანი ეწვია პოლკოვნიკ იონგჰესბანდს.

ბახმუტი. ლიუბიმოვისა და სოლვეს საზოგადოების მაღაროში, სკალკოვსკის გვირაბში ლისიჩანსკს ცეცხმა გაანადგურა შენობანი, სამანქანო, მთავარი სადგური და ორთქლის მანქანები. ზარალი დიდია. მუშაობა გვირაბში შეჩერდა.

27 ივლისი

პუებლო. როცა წყნარ ოკეანეს ნაპირის რკინის გზის სწრაფი მატარებელი მიდიოდა ედენის ხიდზე, უეცრად ხიდი ჩაინგრა; ლოკომოტივი და სამა ვაგონი წყალში ჩავარდა. როგორც აღმოჩნდა, წვიმებისა და ნიაღვრების გამო მდინარე მოდიდებულა და გაუფუჭებია ხიდის ბოძები. მატარებელი წყალმა ერთის მილის სიშორეზე წაიღო; საბარგო და ერთი სამგზავრო ვაგონები ჯერაც ვერ უპოვნიათ. საფოსტო ვაგონი და ტენდერი ხიდს ახლო იპოვნეს. ფულის ყუთები გახსნილი აღმოჩნდა, ფული-კი მოპარული. ვაგონებიდან, რომელნიც ქვიშით ავსილან, მოკლულთა გვამები ამოიღეს. ჰფიქრობენ, 125 მგზავრია მოკლული.

27 ივლისი

ვაშინგტონი. სახელმწიფო მდივანმა გამოუცხადა ოსმალეთის ელჩს, რომ მთავრობის მოთმინების ფიალა თითქმის ავსებულიაო.

სოფია. („კორ. ბიურო.). თითქმის ყველა მაკედონელი გარდახვეწილნი დაბრუნდნენ. 5,400 ადრიანოპოლის ვილაეტიდან გარდახვეწილი, რომელთაც დაიმუშავეს აქ იჯარით აღებული ადგილები, ელიან მკას, რომ დაბრუნდნენ სამშობლოში. რადგან პორტასაგან დადებული დაბრუნების ვადა უკვე გავიდა, ამიტომ გუშინ ბოლგარიამ მიიღო ზომები, რომ ოსმალეთის მთავრობამ ახალი ვადა დანიშნოს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 23 ივლისი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,80	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	—	
ბირჟის დისკონტი	6-7½%	
4% სახელმწიფო რენტა	92	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	88¾	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	388	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	298	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	258	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	„
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	183	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს, 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპანამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

მეფუტკრე-ინსტრუქტორი

ეძებს სამუშაოს საფუტკრეში, კისრულობს სამრეწველო საფუტკრეს გაშენებასა და მოწყობას. აქვე იყიდება თითქმის ახალი ველოსიპედი „დუქს“-ის ქარხნისა, 100 მანეთად. მსურველთ მიჰმართონ წერილით „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ი. ნ—ს.

(4—6.—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	ქ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელეთ მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
ალა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25
ხენთი	1	—
რძე, მისივე	1	50



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აჯიფოვისა, № 92, საზაფხულო ს. გრანის ახლოს. (წ.—176—67)

Доз. цензурою 27 Іюля 1904 г. [illegible] Владикавк. Губ. [illegible]